



საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/7180
27/07/2017

7180-09-2-201707271339



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2017 წლის 21 ივლისის #3-64 წერილის თაობაზე გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 7 ივლისის განცხადებაში გამოქვეყნებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის“ ფარგლებში 2015-2017 წლებში სუნელებისა და სანელებლების ლაბორატორიული კვლევის სრული შედეგები. ხოლო, თქვენი 2017 წლის 3 ივლისის #3-48 წერილით მოთხოვნილი იქნა მხოლოდ 11 დასახელება სურსათის (1. ყვითელი ყვავილი; 2. სვანური მარილი; 3. ხმელი სუნელი; 4. ხარჩოს სუნელი; პილპილი; 6. კვლიავის სუნელი; 7. წიწაკის სუნელი; 8. ქინძის სუნელი; 9. კარის სუნელი; 10. უცხო სუნელი; 11. აჯიკის სუნელი) ლაბორატორიული კვლევის შედეგები. ამდენად, თქვენ მოგეწოდათ თქვენს მიერ მოთხოვნილი ზემოჩამოთვლილი სუნელებისა და სანელებლების სახელმწიფო კონტროლის შედეგები, რომელიც განსხვავებულია სურსათის ეროვნულმა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული განცხადებისგან.

ამასთან, სააგენტოს მიერ 2015 წელს ტყვიის გადაჭარბებული შემცველობა გამოვლინდა ეგვიპტიდან იმპორტირებულ „ორეგანოში“, რაც არ იყო თქვენს მიერ 2017 წლის 21 ივლისის #3-64 წერილით მოთხოვნილ ჩამონათვალში, თუმცა თქვენ აღნიშნული

შეუსაბამობის თაობაზე გეცნობათ სააგენტოს 2017 წლის 20 ივლისის #09/7036 წერილით (სიითი ნომერი 57).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ სურსათის (სიითი ნომრების 57 და 64) ტყვიით დაბინძურების მიზეზები ვერ დადგინდა, რადგან აღნიშნული სურსათი იყო იმპორტირებული. ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის #567 დადგენილებით დამტკიცებული „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის“ (ამოქმედდება 2018 წლის პირველი იანვრიდან) გათვალისწინებით, სუნელებსა და სანელებლების საკითხის აქტუალობიდან და რისკის მინიმიზაციის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად და განსაკუთრებული შემთხვევის გათვალისწინებით, სააგენტომ მიმართა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს, რათა მათ მიერ განხორციელდეს იმპორტირებული სუნელებისა და სანელებლების ნიმუშის აღება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში კვლევების ჩატარება ტყვიის შემცველობაზე.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი